

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი წესი

კოდიფიცირებული

1. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში სტუდენტის სტატუსის მინიჭება

- 1.1 კონსერვატორიის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება „თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და პროფესიულ პროგრამებზე აბიტურიენტთა ჩარიცხვის წესის შესაბამისად“ (01.08.2019).
- 1.2 ამოღებულია (01.08.2019).
- 1.3. ამოღებულია (01.08.2019).
- 1.4. ამოღებულია (01.08.2019).
- 1.5. სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებისათვის აუცილებელია რეგისტრაციის გავლა კონსერვატორიაში დადგენილი წესების დაცვით.
- 1.6. ამოღებულია (01.08.2019).

2. კონსერვატორიაში მობილობის და აღდგენის წესით ჩარიცხვა

- 2.1. კონსერვატორიაში მობილობის, ან აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესისა და კონსერვატორიაში მოქმედი წესის შესაბამისად.
- 2.2 ამოღებულია (01.08.2019).

3. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა

- 3.1. უცხო ქვეყნის მოქალაქეების, მოქალაქეობის არმქონე პირთათვის და საქართველოს მოქალაქეთათვის, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება სწავლა გააგრძელონ საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, კონსერვატორიაში ჩარიცხვა/ ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი და კონსერვატორიაში მოქმედი წესების შესაბამისად (01.08.2019).

4. კონსერვატორიის სტუდენტის სტატუსის შეჩერება

- 4.1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელია (ფინანსური დავალიანება);
 - დავალიანება საკვალიფიკაციო გამოცდაზე/ ნაშრომში.
 - აკადემიური შევბუღება (აკადემიური შევბუღება შესაძლებელია გაფორმდეს სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე სემესტრის დაწყებამდე) (9.07.2018).

- საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ვადის ამოწურვა საგნობრივი დავალიანების/ების არსებობის შემთხვევაში, თუ სტუდენტი მომდევნო სემესტრში/ებში არ სარგებლობს გაცვლითი პროგრამით (14.05.2021).
- ავადმყოფობა;
- უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;
- კონსერვატორიის წესდებით გათვალისწინებული სხვა გარემოებები.

4.2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება შესაძლებელია დადგენილ ვადებში აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შემდეგ. სტუდენტის აღდგენა ხორციელდება იმ სემესტრის დაწყებამდე, რომელშიც შეუჩერდა სტატუსი, გარდა 4.3 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა (9.07. 2018) .

4.3. საკვალიფიკაციო გამოცდაზე დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია: ა) საგნის/საგნების **განმეორებით გავლის** შემთხვევაში ბოლო სემესტრის დაწყებამდე რეგისტრაციის პერიოდში; ბ) საგნის/საგნების **განმეორებით გავლის გარეშე** ბოლო სემესტრის განმავლობაში არაუგვიანეს სესიის დაწყებამდე 2 კვირით ადრე; ამ შემთხვევაში სტუდენტი ვერ იქნება უზრუნველყოფილი პედაგოგით, ან/ და კონცერტმაისტერით/ებით, თუმცა შეეძლება ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსით (26.03.2021). ნებისმიერი სემესტრის დაწყებამდე სტატუსის აღდგენის მოთხოვნით კონსერვატორიას შეუძლია მიმართოს აგრეთვე სტუდენტმა დავალიანებაში არსებული სასწავლო კურსების გავლის მიზნით, თუ ეს სასწავლო კურსები მიმდინარე სემესტრში იკითხება (9.07. 2018).

4.4. შეჩერებული სტატუსი პირს უნარჩუნდება 5 წლის განმავლობაში. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს ავტომატურად უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4.5. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, სარეესტრო მონაცემებში რეგისტრირებულია სტატუს შეჩერებულ სტუდენტად და არ განიხილება კონსერვატორიის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, ფაკულტეტის დეკანი ვალდებულია უზრუნველყოს რეესტრში სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

5. კონსერვატორიის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

5.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- პირადი განცხადება;
- შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში.
- ერთი და იმავე სასწავლო კურსის (საგნის) სამჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება.
- საკვალიფიკაციო გამოცდაზე დავალიანების ორჯერ არსებობა.
- კონსერვატორიის წესდებით დადგენილი სხვა შემთხვევები (01.08.2019).

5.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტი დგება სესიის დასრულების შემდეგ. პირადი განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ნებისმიერ დროს (01.08.2019).

5.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

5.4. პირები, რომელთაც წესის ძალაში შესვლიდან აკადემიური მოუსწრებლობის მიზეზით შეუწყდათ კონსერვატორიის სტუდენტის სტატუსი, ვერ ისარგებლებენ მობილობის ფარგლებში კონსერვატორიაში აღდგენის უფლებით.

6. კონსერვატორიაში სტატუსშეწყვეტილი სტუდენტის აღდგენა

6.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება N10 /ნ-ის შესაბამისად.

6.2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების ძალაში შესვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან 10 წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია მიმართოს კონსერვატორიას სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე.

7. კონსერვატორიაში სწავლის წლიური გადასახადი

7.1 საქართველოს მოქალაქეებისათვის:

- ამოღებულია (XX.XX.2019)
- ბაკალავრიატი - 2250 ლარი
- მაგისტრატურა - 3000 ლარი (09.02.2015)
- დოქტორანტურა (18.03.2022):
 - 5000 (პროგრამა/სპეციალობა: კომპოზიცია)
 - 4500 (პროგრამა „სამუსიკისმცოდნეო კვლევები“ სპეციალობები: მუსიკის თეორია, მუსიკის ისტორია, ეთნომუსიკოლოგია, საეკლესიო მუსიკოლოგია, საშემსრულებლო ხელოვნების ისტორია და თეორია)
 - 5500 (პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ სპეციალობა: სოლო ფორტეპიანო)
 - 6500 (პროგრამა „საშემსრულებლო ხელოვნება“ სპეციალობები: საორკესტრო საკრავები, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საკონცერტმაისტერო დაოსტატება, კამერული ანსამბლი)

7.2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის:

ბაკალავრიატი - 4000 ევრო (24.02.2014)

მაგისტრატურა - 5000 ევრო (24.02.2014)

დოქტორანტურა - 5000 ევრო

7.3. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს პრეფერენციული (უფრო დაბალი) ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სტუდენტს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა.

7.4. აკადემიურ შვებულებაში მყოფი სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება 7.3. პუნქტით დადგენილი ტარიფით.

7.5. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში.

8. სასწავლო პროცესი

8.1. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია ახორციელებს უმაღლეს აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) და მასწავლებლის მომზადების და მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს (01.08.2019).

8.2. საგანმანათლებლო პროგრამა დამთავრებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ:

საბაკალავრო პროგრამაზე - 240 კრედიტს;

სამაგისტრო პროგრამაზე - 120 კრედიტს;

სადოქტორო პროგრამაზე - 180 კრედიტს.

მმსპ - 60 კრედიტი (01.08.2019).

8.3. უმაღლეს აკადემიურ (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) პროგრამებზე სწავლება ხორციელდება სემესტრულად. ერთი სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 19 (სასწავლო და სასესიო) კვირას. სრული აკადემიური წელი მოიცავს 38 კვირას.

სასწავლო კვირები ეთმობა მეცადინეობებისა და შუასემესტრული გამოკითხვების ჩატარებას, ხოლო სასესიო კვირები - საბოლოო გამოცდების ჩატარებასა და აკადემიური დავალიანებების დაფარვას (01.08.2019).

8.4. სწავლება წარიმართება მეცადინეობის სხვადასხვა ფორმების საშუალებით, როგორცაა სალექციო, ინდივიდუალური, ჯგუფური, პრაქტიკული, სასემინარო, სარეპეტიციო მეცადინეობები და სხვა. თითოეული სასწავლო კურსი, მისი თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს სწავლების ზემოთჩამოთვლილ ერთ, ან რამდენიმე ფორმას. სასწავლო კურსის ხანგრძლივობა 1 სემესტრია.

9. სტუდენტთა ცოდნის შეფასება-შემოწმების სისტემა

9.1 კონსერვატორიის ფარგლებში მოქმედი შეფასების სისტემა, მეთოდები და ფორმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას და ითვალისწინებს შემდეგ სქემას:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

9.2. დოქტორანტურის საფეხურზე სადისერტაციო ნაშრომისა და დამაბოლოებელი საკონცერტო გამოსვლის შეფასება ხორციელდება შემდეგი სქემით:

- ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი.
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება.
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
- საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს.
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.
- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს.
- სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

9.3. შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის/ნამუშევრის, საორკესტრო კლასის, საანსამბლო კლასისა და სტუდიო კლასის, საგუნდო კლასის ფარგლებში შესრულებული აქტივობები ფასდება - „წარმატებით ჩააბარა/ჩააბარა/ვერ ჩააბარა“ სისტემის მეშვეობით, სადაც წარმატებით ჩააბარა უტოლდება 91-100 ქულას, ჩააბარა უტოლდება 51-90 ქულას, ხოლო ვერ ჩააბარა - 50 ქულასა და ნაკლებს.

9.4. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ყოველსემესტრულად, რაც ითვალისწინებს განმავითარებელი (ანუ, შუალედური) და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. სემესტრული შეფასება მიიღება განმავითარებელი (ანუ, შუალედური) და დასკვნითი გამოცდის შეფასებების დაჯამების გზით. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (განმავითარებელი ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები კონკრეტდება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

9.5. სასწავლო კომპონენტებში დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც:

- ა) საშემსრულებლო ინდივიდუალურ და საანსამბლო სასწავლო დისციპლინებში (სპეციალობის ბლოკი) უფიქსირდება დასწრების 80%;
- ბ) ყველა სხვა სასწავლო კომპონენტის შემთხვევაში უფიქსირდება გათვალისწინებულ მეცადინეობებზე დასწრების 50% და მეტი (წილადი რიცხვის მიღების შემთხვევაში დამრგვალება უნდა მოხდეს ნაკლები მთელი რიცხვისკენ; მაგ., 15 მეცადინეობიდან მე-8 გაცდენის შემთხვევაში სტუდენტი არ დაიშვება გამოცდაზე);
- გ) განმავითარებელი შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური ზღვარის ქულების დაჯამებით შესაძლებელია დაუგროვდეს არანაკლებ 51 ქულა.
- დ) აკმაყოფილებს გამოცდაზე დაშვების დამატებით წინაპირობებს, რომლებიც მითითებულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

9.6 სასწავლო დისციპლინებისათვის შუალედური შეფასებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ჯამურად წარმოადგენს 50% (ანუ, ნახევარი), ხოლო დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში კომპეტენციის ზღვარს წარმოადგენს მაქსიმალური შეფასების 50%+1 ქულას.

9.7. 41-50 ქულის სემესტრული ჯამური შეფასების პირობებში სტუდენტი ვერ იღებს კრედიტს, მაგრამ ეძლევა უფლება გადააბაროს გამოცდა სასწავლო დისციპლინის განმეორებით გავლის გარეშე მიმდინარე სემესტრში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

9.8. განმეორებით გავლის გარეშე, მიმდინარე სემესტრში გადაბარებას შესაძლოა არ დაეკვემდებაროს: ა) საკვალიფიკაციო ნაშრომი/პროექტი, თუ კომისიის გადაწყვეტილებით დგინდება, რომ ნაშრომის/პროექტის გადამუშავებისა და წარდგენისთვის განსაზღვრული დამატებითი ვადები არ არის საკმარისი; ბ) დოქტორანტურის საფეხურზე დამაბოლოებელი საკონცერტო გამოსვლა და სადისერტაციო ნაშრომი. დოქტორანტურის საფეხურზე დამაბოლოებელი საკონცერტო გამოსვლასა და სადისერტაციო ნაშრომში დავალიანების დაფარვის წესი განისაზღვრება კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

9.9. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისთვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

9.10. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის საშემსრულებლო-კვლევით კომპონენტში/ნაშრომში/სამაგისტრო თეზისის (FX) და (F) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული იგივე ან შეცვლილი თემა წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

9.11. თუ სტუდენტის მიერ სემესტრის მანძილზე დაგროვებული ქულათა ჯამი არ აღემატება 40 ქულას, სტუდენტი ვალდებულია გაიმეოროს კურსი და დავალიანება დაფაროს დადგენილი წესის მიხედვით. იხ. პუნქტი 10.

9.12. ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში,

გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი; ინდივიდუალური წესით დანიშნული გამოცდა ტარდება ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში.

10. სასწავლო კურსებში/მოდულებში დავალიანების დაფარვის წესი (16.09.2014)

10.1. სასწავლო კურსებში/მოდულებში დავალიანების შემთხვევაში სტუდენტი გადადის მომდევნო სემესტრში, მაგრამ ვალდებულია გაიაროს დავალიანებაში არსებული საგნები მომდევნო სასწავლო წლის შესაბამის სემესტრში. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს უჩერდება სტატუსი. ინდივიდუალური განაცხადის საფუძველზე სტუდენტს აქვს უფლება გაიაროს დავალიანებაში არსებული კურსი ვადაზე ადრე. გარდა 10.2 პუნქტით გათვლისწინებული შემთხვევებისა (01.08.2019).

- სპეციალობის დისციპლინებში, საორკესტრო კლასი, საკვარტეტო კლასი, ან საგუნდო კლასში, საესტრადო კოლექტივთან დავალიანების შემთხვევაში ამ დისციპლინაში კრედიტის მოპოვების საშუალება ეძლევა დამატებით სემესტრში სწავლის გაგრძელების გზით.
- ძირითადი სამუსიკო დისციპლინების მოდულის სასწავლო კურსებში კრედიტის მოუპოვებლობის შემთხვევაში სტუდენტი წყვეტს მოდულის შესწავლას. დავალიანების დასაფარად სტუდენტი გადის აკადემიურ რეგისტრაციას, იხდის თანხას დადგენილი ტარიფის შესაბამისად და იმეორებს მოდულის იმ ნაწილს, რომელშიც ჰქონდა დავალიანება.
- მუსიკის ისტორიისა და ჰუმანიტარული დისციპლინების მოდულის სასწავლო კურსებში კრედიტის მოუპოვებლობის შემთხვევაში, სტუდენტი არ წყვეტს მოდულის შესწავლას (შესაძლებელია მუსიკის ისტორიის და ჰუმანიტარული დისციპლინების მოდულის 2 კურსის პარალელურად გავლა). დავალიანების დასაფარად სტუდენტი გადის აკადემიურ რეგისტრაციას, იხდის თანხას დადგენილი ტარიფის შესაბამისად და იმეორებს მოდულის იმ ნაწილს, რომელშიც ჰქონდა დავალიანება.
- დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს სასწავლო კურსებში/მოდულებში დავალიანების არსებობის შემთხვევაში უფლება აქვთ განაცხადი გააკეთონ სასწავლო კურსების/მოდულების ინტენსიურად, ინდივიდუალური მეცადინეების ფორმატში გავლის თაობაზე. საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა განხორციელდება კონსერვატორიასა და სტუდენტს შორის შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთავ აღემატებოდეს 75 კრედიტს.
- სასწავლო კომპონენტის ინტენსიური გავლის შესაძლებლობა არ ვრცელდება სპეციალურ დისციპლინებზე, გარდა საგანმანათლებლო პროგრამისა „მუსიკა და დღევანდელი“ (9.02.2017).

10.2 ამოღებულია (01.08.2019).

10.3. საკვალიფიკაციო გამოცდებში/ ნაშრომებში დავალიანების დაფარვის წესი

- საკვალიფიკაციო გამოცდაზე/ნაშრომში დავალიანება (კრედიტის მოუპოვებლობა) სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია. სტატუსის აღსადგენად სტუდენტი რეგისტრაციას გადის წინამდებარე წესის მე-4 მუხლით დადგენილ ვადებში (05.06.2013).
- საკვალიფიკაციო გამოცდის დავალიანების დაფარვა სტუდენტს შეუძლია ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემთხვევაში. სასწავლო პროგრამაში რამდენიმე საკვალიფიკაციო გამოცდის არსებობის შემთხვევაში სტუდენტს

- უფლება აქვს აკადემიური რეგისტრაციის განაცხადში მიუთითოს დავალიანებაში არსებული მხოლოდ ერთი დისციპლინა. განაცხადში მითითებულ საკვალიფიკაციო გამოცდაზე არ გამოცხადდება, ან შეფასება 51 ქულის ქვევით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია, გარდა მნიშვნელოვანი პატივსაღები გარემოებებისა (05.06.2013).
- ამოღებულია (01.08.2019).

11. განმავითარებელი და დასკვნითი შეფასების ვადები და პროცედურები

11.1 თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ყოველ სასწავლო წელს, სწავლების ყველა დონეზე, დასკვნითი გამოცდების ჩატარების ვადები განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წლის აკადემიური კალენდრით, რომელიც მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით;

11.2 იმ სასწავლო კომპონენტებში, სადაც: ა) გათვალისწინებულია ერთი განმავითარებელი შეფასება, მისი ჩატარებისთვის განსაზღვრულია სასწავლო სემესტრის არაუგვიანეს მე-7 და მე-10 კვირები; ბ) გათვალისწინებულია ორი განმავითარებელი შეფასება, პირველის ჩატარებისთვის განსაზღვრულია სწავლების მე-5-მე-7 კვირები, ხოლო მეორეს ჩატარებისთვის - მე-11-მე-13 კვირები. გ) გათვალისწინებულია ყოველკვირეული განმავითარებელი შეფასება, პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ ვადებში მისი ჩატარება. საკურსო ნაშრომის არსებობის შემთხვევაში ჩაბარების ვადად განსაზღვრულია მე-14 კვირა.

11.3. განმავითარებელი და დასკვნითი გამოცდის დაწყებამდე საგამოცდო მასალა შეთანხმებული უნდა იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის და/ან მიმართულების ხელმძღვანელებთან წინასწარ. საგამოცდო დავალება უნდა იყოს სტუდენტებისთვის გასაგებად გადმოცემული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული. საგამოცდო დავალებების გამრავლება და გამოცდისთვის მომზადება, კონსერვატორიაში არსებული რესურსების გამოყენებით უნდა უზრუნველყოს სასწავლო დეპარტამენტმა.

11.4. ისეთ სასწავლო კურსებში, სადაც გათვალისწინებულია საანსამბლო შესრულების ფორმა (კამერული ანსამბლის კლასი, ვოლაკური ანსამბლის კლასი, კვარტეტის კლასი, საესტრადო კოლექტივთან მუშაობის პრაქტიკა) რომელიმე სტუდენტის არგამოცხადების შემთხვევაში გამოცდაზე ჩანაცვლება უნდა მოხდეს სხვა სტუდენტით ან კონცერტმასტერით. აღნიშნულთან დაკავშირებით ფაკულტეტის დეკანის და სასწავლო დეპარტამენტის ინფორმირება უნდა მოხდეს გამოცდამდე ერთი კვირით ადრე.

11.5. დაუშვებელია საანსამბლო შესრულების ფორმის გამოცდაზე შესრულების პროცესში ჩართული იყოს სტუდენტის საგნის წამყვანი პედაგოგი.

11.6. საშემსრულებლო ფაკულტეტის დასკვნით გამოცდებზე კომისიის მიერ დაწერილი შეფასების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით საბოლოო შეფასებას ითვლის შესაბამისი მიმართულების მდივანი. საბოლოო შეფასება მიიღება კომისიის მიერ წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით ინდივიდუალურად დაწერილი ქულების საშუალო არითმეტიკულით.

11.7. საშემსრულებლო ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის დასრულების შემდეგ შესაბამისი მიმართულების მდივანი ვალდებულია საბოლოო შეფასებები ელ-ფოსტით გაუგზავნოს პედაგოგს, რომელიც ნიშნებს ასახავს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადისა. აღნიშნული სისტემით ხდება სტუდენტის ინფორმირება შეფასებასთან დაკავშირებით.

11.7. სტუდენტს უფლება აქვს გამოითხოვოს დასკვნითი გამოცდის კომისიის მიერ კრიტერიუმების მიხედვით დაწერილი შეფასება და შენიშვნები, სტუდენტის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების მითითებით.

11.8. საშემსრულებლო ფაკულტეტის დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია პროგრამა წარმოადგინოს შევსებული პორტფოლიოს სახით ყოველ სემესტრულად, რათა კომისიამ გააკონტროლოს რომ არ მოხდეს ერთი და იგივე ნაწარმოებების განმეორებით შეფასება სხვადასხვა სემესტრში (გამონაკლისია მხოლოდ ისეთი სპეციალობები, სადაც განმეორება პროგრამულად არის გაწერილი).

11.9. საგამოცდო გარემო უნდა იყოს სტუდენტისთვის კომფორტული, კეთილგანწყობილი, ხოლო შეფასება - ობიექტური და დასაბუთებული. გამომცდელს უნდა ჰქონდეს გათავისებული წილი პასუხისმგებლობისა და მზად იყოს გასაჩივრების შემთხვევაში წარმოადგინოს მკაფიო არგუმენტაცია.

11.10. პედაგოგს უფლება აქვს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით შუასემესტრული შემოწმება გადაუვადოს სტუდენტებს, რომლებიც საპატიო მიზეზის გამო ვერ დაესწრნენ შემოწმებას (ავადმყოფობა, შემოქმედებითი მივლინება და ა.შ.). გადავადებული შემოწმების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საგნის წამყვანი პედაგოგი ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით.

11.11. სასწავლო დისციპლინაში დასკვნითი გამოცდისათვის ინიშნება 2 თარიღი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 5 დღისა. დამატებითი გამოცდის თარიღი ინიშნება იმ სტუდენტებისათვის, ვინც:

ა) საპატიო მიზეზით დასკვნით გამოცდაზე არ გამოცხადდა (21.02.2014)

ბ) დასკვნით გამოცდაზე ვერ მიიღო დადებითი მაგრამ ჯამურად დააგროვა ქულათა ოდენობა 41-50.(9.07.2018)

გ) ამოღებულია (9.07.2018)

11.12. განსაკუთრებულ შემთხვევებში, დეკანის გადაწყვეტილებით შესაძლებელია სტუდენტს დაენიშნოს დამაბოლოებელი გამოცდა მიმდინარე სემესტრის სასესიო პერიოდის დაწყებამდე, ან სესიის შემდგომ მომდევნო სემესტრის დაწყებამდე. (9.07.18)

11.13. სესიის ვადები ასახულია აკადემიურ კალენდარში, რომელიც მტკიცდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

11.14. სასესიო ცხრილს ადგენს სასწავლო დეპარტამენტი. სასწავლო დეპარტამენტი ითვალისწინებს დეკანის და სტუდენტთა რეკომენდაციებს გამოცდების თანამიმდევრობის საკითხში, თუ ეს რეკომენდაციები მიწოდებულ იქნება სასესიო პერიოდის დაწყებამდე 1 თვით ადრე. დაუშვებელია გამოქვეყნებულ სასესიო ცხრილში დადგენილი ვადების შეცვლა დეკანთან და სასწავლო დეპარტამენტთან შეუთანხმებლად (01.08.2019).

11.15. სესიის დასრულების შემდეგ სრული ინფორმაცია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ გადაეცემა სასწავლო დეპარტამენტის მიერ ანალიზისათვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

11.16. არაუგვიანეს 1 კვირისა სასესიო პერიოდის დაწყებამდე პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გადასცემს სხდომაზე განხილულ და მიღებულ საგამოცდო ბილეთებს (01.08.2019).

11.17. არაუგვიანეს 1 კვირისა სასესიო პერიოდის დაწყებამდე საგნობრივი საგამოცდო კომისიის შემადგენლობას ადგენს შესაბამისი პროგრამული მიმართულება. პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი საგამოცდო კომისის წევრთა სიას გადასცემს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს (01.08.2019).

12. უკუკავშირი

12.1. კონსერვატორია უზრუნველყოფს განმავითარებელი (ანუ, შუალედური) და დასკვნითი შეფასებისას შესრულებულ წერით ნაშრომებზე (ან/და ასლებზე) ხელმისაწვდომობას სტუდენტის ინდივიდუალური განცხადების საფუძველზე. სტუდენტი უფლებამოსილია განცხადებით/კონსერვატორიის ოფიციალური ელ.ფოსტით მიმართოს სასწავლო დეპარტამენტს, ems.tsc.edu.ge-ზე შეფასების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში.

12.2. კონსერვატორიის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტის აკადემიური მოსწრებისა და მიღწევების ასახვა სწავლების მართვის ელექტრონულ სისტემაში (ems.tsc.edu.ge-ზე) განმავითარებელი (ანუ, შუალედური) და დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა. პერსონალი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი განმავითარებელი უკუკავშირი სტუდენტის გასაუმჯობესებელი და/ან ძლიერი მხარეების გათვალისწინებით და წარუდგინოს სასწავლო დეპარტამენტს ems.tsc.edu.ge-ზე ნიშნის გაფორმებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში.

12.3. წინამდებარე მუხლის 1-ელი პუნქტისგან განსხვავებულ შემთხვევებში, უკუკავშირის ფორმები სასწავლო კურსის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებებისა და სხვათა გათვალისწინებით, შესაძლოა იყოს განსხვავებული. უკუკავშირი შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას ინდივიდუალური, ჯგუფური (ე.წ. ხშირად დამზებული შეცდომების მიდგომით), ზეპირი, წერითი, დასწრებული და/ან ელექტრონული ფორმით.

12.4. ყველა განმავითარებელ და დასკვნით წერით ნაშრომზე უკუკავშირი ჩამოყალიბებული უნდა იყოს წერილობით, მკაფიო და გასაგები ფორმულირებით. წერილობითი უკუკავშირი შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ნაშრომზე კომენტარის ან დამოუკიდებელი ფორმით (ცალკე ფაილის სახით).

12.5. უკუკავშირი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ინდივიდუალური, რათა უზრუნველყოს თითოეული სტუდენტის რეფლექსია საკუთარ მიღწევებზე.

12.6. უკუკავშირი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რატომ მიენიჭა სტუდენტს კონკრეტული ქულა და როგორ შეუძლია გააუმჯობესოს საკუთარი შედეგები. საჭიროების შემთხვევაში, უკუკავშირი შესაძლოა მოიცავდეს რეკომენდაციებს დამატებით ლიტერატურასთან, რესურსებთან, მასტერკლასებთან და სხვ. დაკავშირებით.

12.7. უკუკავშირი უზრუნველყოფილ უნდა იქნას დროულად და კონსტრუქციული კრიტიკის ფარგლებში.

12.8. სასწავლო კურსის განმავითარებელი (ანუ, შუალედური) და დასკვნითი გამოცდის ფარგლებში შესრულებული კვლევითი/სამეცნიერო (მაგ: რეფერატი, საკურსო, პროსპექტუსი)

სამუშაოების შემთხვევაში უკუკავშირი განხორციელებულ უნდა იქნას ნაშრომის წარდგენის ბოლო ვადიდან, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

12.9. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა კურსის ლექტორთან ერთად დისტანციურად ან არადისტანციურად განიხილოს უკუკავშირი.

12.10. უკუკავშირის პროცესის პერიოდულ მონიტორინგს უზრუნველყოფს პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები.

12.11. უკუკავშირის არსებული მეთოდების, ფორმებისა და ძირითადი მიზნების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება უნდა განხორციელდეს სასწავლო კურსების ლექტორების მიერ ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში.

12.12. თითოეული სასწავლო კურსის ლექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება შეფასების პროცესისა და შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რომლებიც გამოიყენება როგორც განმავითარებელ (შუალედური გამოცდა), ასევე დასკნით შეფასებაზე.

12.13. პერსონალი ვალდებულია მოახდინოს სტუდენტთა ინფორმირება, იმის შესახებ, რომ საგამოცდო საკითხებზე/მასალებზე საავტორო უფლება ეკუთვნის კონსერვატორიას. ნებართვის გარეშე საგამოცდო მასალების გაზიარება აკრძალულია. აღნიშნული დარღვევის დადგენის შემთხვევაში სტუდენტს შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

13. დამატებითი სემესტრის გავლა

13.1. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა დამატებით სემესტრში/სემესტრებში. დამატებითი სემესტრების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სემესტრთა იდენტურ რაოდენობას (14.05.2021).

13.2. დამატებითი სემესტრის სწავლის საფასური განისაზღვრება მუხლი 10-ის მიხედვით. (01.08.2019).

13.3. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.

14. აკადემიური ხარისხის მინიჭება და დიპლომი

14.1. უმაღლესი აკადემიური განათლების ცალკეული საფეხურის დასრულების შემდეგ კონსერვატორიის კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი, კვალიფიკაციას (ბაკალავრის, მაგისტრის აკადემიურ ხარისხს), ანიჭებს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო დეკანის წარდგინების საფუძველზე (01.08.2019).

14.2. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭო დოქტორანტურის დებულებით გათვალისწინებული წესების დაცვით, აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ (01.08.2019).

14.3. ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს კონსერვატორიის რექტორისა და ფაკულტეტის დეკანის მიერ ხელმოწერილი და კონსერვატორიის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართით.

14.4. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ადასტურებს კონსერვატორიის რექტორისა და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და კონსერვატორიის ბეჭდით დამოწმებული დიპლომი, სტანდარტული დანართით.

14.5 მასწავლებლის მომზადების პროგრამის დასრულების შემდეგ გაიცემა კანონმდებლობით დადგენილი სერტიფიკატი და სტანდარტული დანართი (01.08.2019).

14.6 მოკლევადიანი სასერტიფიკატო კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატი (01.08.2019).

15. გარდამავალი დებულებები

15.1. ამ წესის ძალაში შესვლის შემდეგ ძალადაკარგულად გამოცხადდეს კონსერვატორიის აკადემიური და წარმომადგენლობითი გაერთიანებული საბჭოს მიერ 24.09.2010 წლის სხდომაზე N1 დამტკიცებული “კონსერვატორიის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი”.

15.2. ამ წესის მე-9 მუხლი, ასევე მე-11 მუხლის 11.1-11.9 პუნქტებისა და მე-12 მუხლით გათვალისწინებული პირობები ამოქმედდეს 2022-2023 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრიდან.